

**განმარტებითი ბარათი**  
**„საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების**  
**ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონში**  
**ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის**  
**პროექტზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

აღნიშნული კანონპროექტის მიღება განპირობებულია „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით და სათამაშო ბიზნესის გადასახადის გაუქმებით.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით დაცულ იქნას კანონის სამართლებრივი სისტემის ერთიანობა, „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონში მოხდეს ზემოაღნიშნული მოსაკრებლის სახეობის ასახვა და სათამაშო ბიზნესის გადასახადის ამოღება.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

აღწერილი ცვლილების განხორციელებით შესაძლებელი გახდება „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონიდან სათამაშო ბიზნესის გადასახადის ამოღება, მასში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების სახეობის ასახვა და საკანონმდებლო სისტემის ერთიანობის დაცვა.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ ხარჯებს არ მოითხოვს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არანაირ გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არანაირ გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

სახელმწიფო ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ იღებს.

**ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ეხება გადასახადის და/ან მოსაკრებლის განაკვეთებს.

**ბ.ვ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტით არანაირი გავლენა არ ხორციელდება არცერთ პირზე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.